## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/195

ქ. თბილისი 25 ივლისი 2018

**სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე**

**კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის 2018 წლის 24 ივლისის №01-09-33/4027 მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 25 ივლისის №01-05-02/14 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს აკადემიური კონკურსი სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე 400-საათიანი დატვირთვით, საგანთა ჯგუფი №218 (დანართის სახით იხილეთ სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ზ. წვერაიძის მოხსენებითი ბარათი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**